მარნეულის სამედიცინო კოლეჯი

შეცვალე მომავალი განათლებით!

2023 წლის
კატალოგი

www. mscollege.ge

500 507750

მარნეული, 26 მაისის ქუჩა N80

მისია

- განახორციელოს საქართველოს სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო პროფილის საგანმანათლებლო პროგრამები, ასევე დასაქმების ბაზარზე მოთხოვნადი სხვადასხვა მიმართულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამები, რითაც ხელს შეუწყობს ქვეყნისა და ქვემო ქართლის რეგიონში კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებასა და დასაქმებას;

- იზრუნოს პროფესიული განათლების პოპულარიზაციაზე და ხელი შეუწყოს მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლას;

- მოამზადოს მაღალკვალიფიციური, ლიბერალური ღირებულებების საზოგადოების აქტიური წევრები, განუვითაროს მათ პროფესიული უნარები და უზრუნველყოს მათი კონკურენტუნარიანობა დასაქმების ბაზარზე.

ხედვა

- შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯი“ 2024 წლისათვის არის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც სწავლების თანამედროვე მეთოდებით, საგანმანათლებლო პროგრამებითა და მრავალფეროვანი სერვისებით პასუხობს საქართველოსა და ქვემო ქართლის რეგიონის წინაშე არსებულ გამოწვევებს, ემსახურება სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას; ხელს უწყობს ადამიანურ ღირსებას, უნივერსალურ ადამიანურ უფლებებს და თავისუფლებას ყველასთვის განურჩევლად კაცის, ქალის, რასის, ფერის, რელიგიის და წარმომავლობისა.

მიზანი

- შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯის“ მიზანია უზრუნველყოს საზოგადოება მაღალ კვალიფიციური პროფესიული განათლებით, რაც ქვეყნის განვითარებისა და კეთილდღეობის საფუძველი იქნება.

ღირებულებები

- საყოველთაოდ აღიარებული ეთიკის ნორმებისა და პრინციპების დაცვა;
- პროფესიული ცოდნის გადაცემის უკომპრომისო ვალდებულება;
- მაღალკვალიფიციური პროფესიული მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის ურთიერთდახმარების ვალდებულება, რომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება ჩვენს ხედვასა და მისიას.
- აუდიტორიული/საკლასო განათლების კომბინაცია „რეალურ სამყაროს“ გამოცდილებასთან პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებით;
- ძლიერი კოლაბორაციული ურთიერთობები კერძო სექტორთან, მთავრობასთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

კოლეჯი ახორციელებს მესამე და მეხუთე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს, რომელსაც სრულად აფინანსებს სახელმწიფო. გაიცემა სახელმწიფოს მიერ აღიარებული დიპლომი.

საფინანსო სერვისები

აღმზრდელი

ფარმაცია (სააფთიაქო)

ინფორმაციის ტექნოლოგია

საექთნო განათლება

საფინანსო სერვისები

1. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე -** საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში / Basic Vocational Qualification in Finance Services

2. **დაშვების წინაპირობები -** საბაზო განათლება, არანაკლებ 17 წელი

3. **მიზანი -** პროგრამის მიზანია მოამზადოს კვალიფიციური საფინანსო სერვისების პერსონალი, რომელიც შეძლებს სხვადასხვა ტიპის საფინანსო მომსახურების გაწევასა და მომხმარებლის საფინანსო სერვისებთან დაკავშირებულ ინფორმირებას.

4. **დასაქმების სფერო და შესაძლებლობები -** საფინანსო სერვისებში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს სხვადასხვა სავაჭრო ობიექტების მოლარედ, მათ შორის - ბილეთების გაყიდვების სალაროებში; ბანკებსა და არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო დაწესებილებებში მოლრისა და ოპერატორის პოზიციაზე, ასევე ნივთების დაგირავებითა და ფულადი თანხების გაცემით დაკავებული აგენტებისა და ბუკმეკერების პოზიციებზე.

საფინანსო სერვისები

6

პროგრამის მოცულობა და სავარაუდო ხანგრძლივობა: პროფესიულ სტუდენტს, რომელსაც უდასტურდება ქართული ენის ცოდნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობაა 52 კრედიტი (სავარაუდო ხანგრძლივობა 38 სასწავლო კვირა);
პროფესიულ სტუდენტს, რომელსაც არ უდასტურდება ქართული ენის ცოდნა პროგრამის მოცულობაა 67 კრედიტი (სავარაუდო ხანგრძლივობა 48 სასწავლო კვირა);

აღმზრდელი

1 **მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე** - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში/Higher Vocational Qualification in Preschool Education.

2 **მიზანი:** აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია კვალიფიციური კადრის მომზადება, რომელიც შეძლებს ადრეულ და სკოლამდელ ასაკშიბავშვზე ზრუნვას, მის აღზრდასა და განვითარებას. ამ მიზნებისთვის აღმზრდელმა უნდა უზრუნველყოს უსაფრთხო და განმავითარებელი სააღმზრდელო გარემო და ამ პროცესში შეძლოს ბავშვის ოჯახთან, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების კოლექტივთან, სფეროს წარმომადგენლებთან კომუნიკაცია და საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა

3 **დაშვების წინაპირობა** - სრული ზოგადი განათლება

4 **კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:** პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს აღმზრდელის პოზიციაზე, ასევე იმუშაოს თვითდასაქმებით, აღმზრდელად.

5 **პროგრამის მოცულობა და სავარაუდო ხანგრძლივობა:** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს თეორიულ და პრაქტიკულ სწავლების კომპონენტსაც. სწავლება-სწავლის პროცესის ხანგრძლივობა არის 2 წელი პროფესიული სტუდენტებისათვის ვისაც უდასტურდება ქართული ენის ცოდნა და სამი წელი ვისაც არ უდასტურდება ქართული ენის ცოდნა, სრული დატვირთვით. საგანმანათლებლო დაწესებულება პასუხისმგებელია თეორიული და პრაქტიკულლი მეცადინეობის დაგეგმვა-კოორდინაციაზე

ინფორმაციის ტექნოლოგია

1 **მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში / Basic Vocational Qualification in Information Technology Support;**

2 **მიზანი: ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის პროფესიული პროგრამის მიზანია, ინფორმაციის ტექნოლოგიების სფერო უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებით, ხელი შეუწყოს პერსონალური კომპიუტერის აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის კვალიფიციური სპეციალისტის მომზადებას,რომელიც ფლობს აპარატურული უზრუნველყოფისა და ოპერაციული სისტემების დაყენების,განახლების,დაზიანებების აღმოფხვრის,ოპტიმიზაციის,დიაგნოსტირებისა და მომსახურებისათვის საჭირო სპეციალურ ტექნიკურ უნარჩვევებს;აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირიტადი ფაქტების,პრინციპების,პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა,აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.**

3 **დაშვების წინაპირობა: საბაზო პროფესიული კვალიფიკაციისათვის-საბაზო განათლება;**

ინფორმაციის ტექნოლოგია

4

დასაქმების სფერი და შესაძლებლობები: ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდამჭერის საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ტექნიკური მხარდაჭერის სპეციალისტად ნებისმიერ სახელმწიფო/მუნიციპალურ ორგანიზაციაში ან/ და კერძო კომპანიაში ,სადაც გამოიყენება ინფორმაციული ტექნოლოგიები.

5

პროგრამის მოცულობა და სავარაუდო ხანგრძლივობა: პროფესიულ სტუდენტს,რომელსაც უდასტურდება ქართული ენის ცოდნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობაა 61 კრედიტი (სავარაუდო ხანგრძლივობა 46 სასწავლო კვირა)
პროფესიულ სტუდენტს რომელსაც არ უდასტურდება ქართული ენის ცოდნა პროგრამის მოცულობაა 76 კრედიტი (სავარაუდო ხანგრძლივობა 56 სასწავლო კვირა)

საექთნო განათლება

1 **მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე** - **უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში / Higher Vocational Qualification in Nursing**

2 **მიზანი:** **პროგრამის მიზანია უზრუნველყოს ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი, ზოგად მოვლაზე პასუხისმგებელი ექთნის მომზადება.**

3 **დაშვების წინაპირობა** - **სრული ზოგადი განათლება**

4 **დასაქმების სფერო დაშესაძლებლობები:** **საექტნო საქმეში კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ჯანდაცვის სფეროში, სხვა ტიპის ორგანიზაციებში, რომლებიც საჭიროებს საექთნო მომსახურებას.**

5 **პროგრამის მოცულობა და სავარაუდო ხანგრძლივობა:** **პროფესიულ სტუდენტს,რომელსაც უდასტურდება ქართული ენის ცოდნა საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობაა 180 კრედიტი (სავარაუდო ხანგრძლივობა 120 სასწავლო კვირა) პროფესიულ სტუდენტს, რომელსაც არ უდასტურდება ქართული ენის ცოდნა პროგრამის მოცულობაა 210 კრედიტი (სავარაუდო ხანგრძლივობა 141 სასწავლო კვირა)**

ფარმაცია (სააფთიაქო)

1 **მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე** - **უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში/Higher Vocational Qualification in Pharmacy**

2 **მიზანი:** **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, ჯანდაცვის სფეროსთვის უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდა,კერძოდ პროფესიული კადრების მომზადება,რომლებიც შეძლებენ ფარმაცევტული და პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღების -განთავსების, აღწერის, პარაფარმაცევტული პროდუქციის შერჩევა-მიწოდების პროცესში მონაწილეობას, ნაშტების პერიოდულ კონტროლს, მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმის დაფასოებას,რეცეპტის მიხედვით წამლის მომზადებას და ურეცეპტოდ გასაცემი ფარმაცევტული პროდუქციის რეალიზაციას.**

3 **დაშვების წინაპირობა** - **სრული ზოგადი განათლება**

ფარმაცია (სააფთიაქო)

4 **დასაქმების სფერო დაშესაძლებლობები:** ფარმაციაში კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ფარმაცევტის/ფარმაცევტის თანაშემწის პოზიციაზე აფთიაქებში (ავტორიზებუ აფთიაქში,სპეციალიზებულ და საცალო რეალიზაციის სავაჭრო ობიექტში),საბითუმო რეალიზაციის ობიექტზე, სამედიცინო და ფარმაცევტული ტექნიკის მაღაზიებში.

5 **პროგრამის მოცულობა და სავარაუდო ხანგრძლივობა:**
პირს,რომელსაც უდასტურდება ქართული ენის ცოდნა პროგრამის მოცულობაა 123 კრედიტი (სავარაუდო ხანგრძლივობა 22 სასწავლო თვე);
პირს, რომელსაც არ უდასტურდება ქართული ენის ცოდნა პროგრამის მოცულობაა 153 კრედიტი (სავარაუდო ხანგრძლივობა 28 სასწავლო თვე).

მოკლევადიანი პროფესიული მომზადების პროგრამები

შინმოვლის სპეციალისტი

პროგრამის ხანგრძლივობა: 13 კვირა; 65 სამუშაო დღე; სულ 390 ასტრონომიული საათი, მათ შორის თეორია - 280 ასტრონომიული საათი; პრაქტიკა - 110 ასტრონომიული საათი.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: მინიმალური ასაკი 18 წელი; საბაზო განათლება; აპლიკანტისათვის მომვლელის ფუნქციების რეალურ გარემოში გაცნობა პროგრამაზე სწავლის მყარი გადაწყვეტილების მიღების მიზნით; ტესტირება.

პროგრამის დასრულების შემდეგ მსმენელს აქვს შინმოვლის პრაქტიკული უნარ-ჩვევები და შესაძლებლობა დასაქმებისა (ხანდაზმულთა მოვლის სახლი,დღის ცენტრი,სათემო მომსახურება,საოჯახო ტიპის საცხოვრისი და სხვა) ან/და თვითდასაქმების.

მოკლევადიანი პროფესიული მომზადების პროგრამები

კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების აპარატურული უზრუნველყოფის სპეციალისტი

პროფესიული მომზადების პროგრამაზე სწავლა შეუძლია დაინტერესებულ პირებს, ვისაც აქვს საბაზო განათლება და სურვილი სწრაფად დაეუფლოს კომპიუტერის პერიფერიული მოწყობილობების აპარატურულ უზრუნველყოფას. პროგრამა ხორციელდება კოლეჯის B გარემოში.

პროგრამის ხანგრძლივობაა 200 საათი.

პროგრამის მიზანია მსმენელს შეასწავლოს პერსონალური კომპიუტერული ტექნიკის შემადგენელი ნაწილები, ხელსაწყოების გამოყენება უსაფრთხო ლაბორატორიული პროცედურების ჩასატარებლად; პერსონალური კომპიუტერის აწყობა/განახლება; BIOS -ის კონფიგურირება, პორტატული და მობილური მოწყობილობების დახასიათება; ელექტრონიკის ძირითადი პრინციპების გამოყენება; პერიფერიული მოწყობილობების მონტაჟი.

პრაქტიკის ობიექტები

ბოლნისის ბაგა-ბაღების გაერთიანება

თეთრიწყაროს ბაგა-ბაღების გაერთიანება

მარნეულის ბაგა-ბაღების გაერთიანება

შპს რუსთავის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი

შპს ელთუნი (აფთიაქი)

ი/მ მაია კაბულოვი (აფთიაქი)

ბოლნისის ცენტრალური კლინიკა

ი/მ ლია ჭიღლაძე (აფთიაქი)

რუსთავის ფსიქიატრიული ჯანმრთელობის ცენტრი

კოლეჯის პერსონალი

კოლეჯი დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური პერსონალით, რომელთა გადამზადება პერიოდულად ხორციელდება, როგორც სასწავლებლის, ასევე ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ.

სტუდენტური აქტივობები

სტუდენტური აქტივობები

სტუდენტური აქტივობები

პირველი კურსდამთავრებულები

შინმოვლის პროგრამის კურსდამთავრებულები

WELCOME 2023

კოლეჯის ინფრასტრუქტურა

კოლეჯი აღჭურვილია თანამედროვე ინფრასტრუქტურით

კოლეჯის ინფრასტრუქტურა

კოლეჯი აღჭურვილია თანამედროვე ინფრასტრუქტურით